

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ხელშეკრულების ნიმუშს, სადაც განსაზღვრულია საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის ძირითადი პირობები და შესაძლებელია შეიცვალოს კონკრეტული პირის მიერ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისას



გენერალური ხელშეკრულება  
საკრედიტო მომსახურებაზე N

თარიღი:

ერთის მხრივ სს “ვითიბი ბანკ ჯორჯიას” ---- (----) (შემდგომ “ბანკი”), წარმოდგენილი -----ს მიერ და მეორეს მხრივ ----- (პირადი ნომერი -----) (შემდგომ “მსესხებელი”), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომ “ხელშეკრულება” ) შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი.**

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ბანკი ცალკეული საბანკო კრედიტის გაცემის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომ წოდებული “კონკრეტულ ხელშეკრულებად”) საფუძველზე, მრავალჯერადად და შეუზღუდავად, გასცემს კრედიტებს წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი საკრედიტო ლიმიტისა და ვადის ფარგლებში, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას, დააბრუნოს მიღებული კრედიტი, გადაიხადოს დარიცხული საპროცენტო სარგებელი და სრულად შესარულოს გენერალური ხელშეკრულებით და მის საფუძველზე დადებული კონკრეტული ხელშეკრულებ(ებ)ით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- 1.2. კონკრეტულ ხელშეკრულებაზე სრულად გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რაიმე პირობა სხვაგვარად იქნება განსაზღვრული კონკრეტული ხელშეკრულებით.

**მუხლი 2. საკრედიტო ლიმიტი, ხელშეკრულების ვადა, საპროცენტო განაკვეთი.**

- 2.1. საკრედიტო ლიმიტი შეადგენს -----ეკვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში.
- 2.2. ხელშეკრულება იდება ---- თვის ვადით;
- 2.3. ცალკეული კრედიტით სარგებლობისათვის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს არაუმეტეს 45%-ს. მყარი საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულებით.

**მუხლი 3. განსაკუთრებული პირობები**

**მუხლი 4. დაკრედიტების პირობები**

- 4.1. ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული კრედიტისა მიზნობრიობას, ოდენობას, საპროცენტო სარგებელს, საკომისიოს, პირგასამტებლონა და ვადას განსაზღვრავს კონკრეტული ხელშეკრულება;
- 4.2. ხელშეკრულების დადება არ ნიშნავს კრედიტის შეპირებას. კრედიტი გაიცემა ბანკის შეხედულებისამებრ, ფინანსური ანალიზის შედეგად, კონკრეტული ხელშეკრულების დადების შემდეგ;
- 4.3. ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული ერთდროულად მოქმედი კრედიტების ჯამური ნაშთი არ უნდა აღემატებოდეს საკრედიტო ლიმიტს, ხოლო თითოეული კრედიტის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების 2.2 პუნქტით დადგენილ ვადას;
- 4.4. კონკრეტული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთჯერადი საკომისიო გადაიხდება კრედიტის გაცემამდე, მსესხებლის ანგარიშზე ჩარიცხული კრედიტის თანხიდან უაქცეპტო წესით ჩამოწერის გზით. ერთჯერადი საკომისიოს გადახდის გარეშე კრედიტი არ გაიცემა.

**მუხლი 5. დამატებითი პირობები**

- 5.1. საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში აღებული კრედიტის დაფარვის მიზნით მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან ანგარიშსწორების ოპერაციისათვის განკუთვნილი გამოქვითვა თუ დაკავება განხორციელდება მსესხებლის ხარჯზე;
- 5.2. მსესხებლის მიერ საკრედიტო ვალდებულებების შესასრულებლად შემოტანილი ან ჩარიცხული თანხებიდან პირველ რიგში იფარება დაზღვევის პრემია, შემდგომ სესხიდან გამომდინარე: საკომისიო გადასახდელები, პირგასამტებლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ბოლოს – კრედიტის ძირითადი თანხა;

- 5.3. საპროცენტო განაკვეთის სახით დარიცხული თანხის გაანგარიშება ხდება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად 365 დღისგან შემდგარ წელიწადზე გაანგარიშებით;
- 5.4. თუ დაგირავებული/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ იქნება მსესხებლისადმი ბანკის მოთხოვნის დასაფარავად ან/და დაგირავებული/იპოთეკით დატვირთული ქონების ღირებულება მთლიანად არ დაფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, ბანკის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად არ ითვლება და ბანკს უფლება აქვს მოთხოვნა დაიკმაყოფილოს მსესხებლის ნებისმიერი სხვა ქონებით;
- 5.5. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს უზრუნველყოფის საგნის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნება. თუ უზრუნველყოფის საგანი განადგურდა, დაზიანდა ან არსებობს სხვა რაიმე გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ბანკის შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში სრული მოცულობით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა უზრუნველყოფის ხარჯზე, ბანკის მოთხოვნით მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შესთავაზოს ბანკს ამ უკანასკნელისთვის მისაღები სხვა უზრუნველყოფა;
- 5.6. კრედიტის მთლიანად ან ნაწილობრივ ვადამდე დაფარვისათვის მსესხებელი ვალდებულია წინასწარ წერილობით მიმართოს ბანკს.

#### **მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი და პასუხისმგებლობები.**

- 6.1. მხარეები ვალდებული არიან სათანადო შესარულონ ხელშეკრულებით და მის საფუძველზე დადებული კონკრეტული ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება;
- 6.2. მსესხებელი ვალდებულია დროულად და სრულად დაფაროს საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში აღებული კრედიტი და მასზე დარიცხული სარგებლობის პროცენტი, ასევე პირგასამტებლო (არსებობის შემთხვევაში), გადაიხადოს საკომისიო გადასახდელები;
- 6.3. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია დაზღვიოს დაგირავებული (იპოთეკით დატვირთული) ქონება, მსესხებლის ბიზნესი და სხვა. დაზღვევა უნდა განხორციელდეს ბანკისათვის მისაღებ სადაზღვევო კომპანიაში, ბანკისათვის მისაღები სადაზღვევო პირობებით;
- 6.4. ხელშეკრულების მოქმედების ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს მსესხებლის საფინანსო-სამეურნეო მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია. აკონტროლოს კრედიტის მიზნობრიობა და უზრუნველყოფაში არსებული ობიექტების მდგომარეობა. მსესხებელი ვალდებულია ბანკის მოთხოვნის საფუძველზე, ბანკის მიერ დადგენილ ვადებში (მაგრამ არანაკლებ 6 თვეში ერთხელ) და ბანკის მიერ დადგენილი ფორმით, წარუდგინოს ბანკს საფინანსო ანგარიშგება, ამონაწერები ყველა საბანკო ანგარიშებიდან, რომელიც გახსნილი აქვს რეზიდენტ თუ არარეზიდენტ ბანკებში;
- 6.5. მსესხებელი ვალდებულია ბანკისათვის შექმნას კრედიტის გამოყენების კონტროლისა და ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების პირობები უზრუნველყოფის საგნის დათვალიერების ჩათვლით;
- 6.6. მსესხებელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს ბანკს რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივი მისამართის შეცვლის და იქ გადასვლის თარიღის შესახებ, ასევე ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობაში მოსალოდნელი არსებითი ცვლილებების, და იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ასეთი ცვლილებები;
- 6.7. მსესხებელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს ბანკს ყველა ისეთი გარემოებების შესახებ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულებას მსესხებლის მიერ;
- 6.8. იმ შემთხვევაში თუ ბანკისათვის ცნობილი გახდა ინფორმაცია, რომელიც შეეხება მსესხებლის საფინანსო მდგომარეობის ისეთ გაუარესებას, რაც საფრთხეს უქმნის (ან შეიძლება შეუქმნას) საკრედიტო ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, მსესხებელი ვალდებულია ბანკის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში წარუდგინოს მას ამ გარემოებათა გამაბათილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები;
- 6.9. მსესხებელი თანახმა და უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, კრედიტის გადახდის მორიგეობით თარიღის დადგომისას, ბანკმა მოახდინოს კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტების და იმ დროისათვის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა გადასახდელებისა და პირგასამტებლოს დაფარვა მსესხებლის მიმდინარე ანგარიშზე ან/და სხვა მის ანგარიშზე არსებული თანხით. ბანკი უფლებამოსილია კრედიტის მირითადი თანხა, მასზე დარიცხული პროცენტები და პირგასამტებლო (თუ ასეთი არსებობს) უაქცეპტო წესით ჩამოწეროს

მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან (მათ შორის კრედიტის თანხისაგან განსხვავებულ ვალუტაში არსებული ანგარიშიდან). ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება კრედიტით გაცემული თანხის ვალუტისაგან, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის ხარჯზე მოახდინოს ერთ სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად;

6.10. მსესხებელს უფლება არ აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ბანკთან წინასწარი შეთანხმების გარეშე, იკისროს სხვა სასესხო ვალდებულებები მესამე პირების (იურიდიული ან ფიზიკური) მიმართ. მოახდინოს ბანკში აკუმულირებული სახსრების სხვა ფინანსურ დაწესებულებაში საკუთარ ანგარიშზე გადატანა;

6.11 მსესხებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მსესხებლთან და წინამდებარე ხელშეკრულებით/კონკრეტული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (პოზიტიური ან/და ნეგატიური, ასევე პერსონალური მონაცემები) გადასცეს სს „კრედიტინფო საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 204470740) ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე ნებისმიერ დაწესებულებას მონაცემთა ბაზაში შესატანად, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის. აგრეთვე, მსესხებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მსესხებლთან და წინამდებარე ხელშეკრულებით/კონკრეტული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოიყენოს ვი თი ბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის;

6.12 წინამდებარე ხელშეკრულებით/კონკრეტული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების მსესხებლისგან ამოღების მიზნებისათვის, მსესხებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მსესხებლთან და წინამდებარე ხელშეკრულებით/კონკრეტული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს;

6.13 ბანკი უფლებამოსილია გადასცეს მსესხებელთან და წინამდებარე ხელშეკრულებით/კონკრეტული ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს ბანკის მიერ მსესხებლის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების/კონკრეტული ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.

6.14 ბანკი უფლებამოსილია მსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.

6.15 ხელშეკრულებაზე ხელმოწერით მსესხებელი პირი თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩემი იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის ან/და საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად, საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები“.

6.16 მსესხებელი თანახმაა, რომ ბანკმა, მსესხებლისთვის მომსახურების გაწევის ან/და საბანკო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე შემდგომ, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ნებისმიერ საკრედიტო-საინფორმაციო მონაცემთა ბაზიდან ან/და სხვა წყაროდან, მათ შორის სს „კრედიტინფო საქართველოს“ (საიდენტიფიკაციო კოდი 204470740) მონაცემთა ბაზიდან მოიძიოს, მიიღოს, გამოიყენოს ან სხვაგარად დაამუშაოს მსესხებლის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები და საკრედიტო ისტორიის შესახებ მონაცემები).

## მუხლი 7. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები.

7.1. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ან/და მის საფუძველზე დადებული კონკრეტული ხელშეკრულება და მოსთხოვოს მსესხებელს კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის, ზიანის ანაზღაურება, ხოლო მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს ეს მოთხოვნები, იმ შემთხვევაში თუ:

7.1.1. კრედიტის ან/და საპროცენტო სარგებლის ეტაპობრივად დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი გადააცილებს დაფარვის სულ მცირე ზედიზედ ორ ვადას და ბანკის შეტყობინების გაგზავნიდან ორი კვირის ვადაში სრულად არ იქნება დაფარული ვადაგადაცილებული დავალიანება;

7.1.2. თუ ბანკი მიიჩნევს, რომ გაუარესდა ან უახლოეს მომავალში მოსალოდნელია გაუარესდეს მსესხებლის ფინანსური ან/და ქონებრივი მდგომარეობა, რითაც, ბანკის აზრით, საფრთხე შეიძლება შეექმნას საკრედიტო ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას;

7.1.3. ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე მსესხებლის მიერ დარღვეული იქნება კონკრეტული კრედიტის მიზნობრიობა;

7.1.4. თუ საფრთხე შეექმნა ან შეიძლება შეექმნას უზრუნველყოფის საგანს და მსესხებელი ვერ შესთავაზებს ბანკს სხვა უზრუნველყოფას ან/და თუ თვითონ ან შესაბამისი მესამე პირები არ/ვერ შეასრულებენ უზრუნველყოფის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს;

- 7.1.5. მსესხებელი დაარღვევს ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალსწინებულ სხვა ვალდებულებას;
- 7.2. ბანკი აგრეთვე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება/კონკრეტული ხელშეკრულება ხელშეკრულებით/კონკრეტული ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
- 7.3. მსესხებელს წერილობით უზავნება კრედიტის და მასზე დარიცხული პროცენტის ვადამდე დაბრუნების, აგრეთვე პირგასამტებლოს გადახდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნა, რომელიც მისი მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ (ან ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში) მსესხებლის მიერ უნდა შესრულდეს მთელი მოცულობით;
- 7.4 ბანკის მხრიდან ხელშეკრულების/კონკრეტული ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მსესხებლის მიერ ხელშეკრულების/კონკრეტული ხელშეკრულების შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებები რჩება ძალაში.

## **მუხლი 8. სხვა პირობები.**

- 8.1. ხელშეკრულება/კონკრეტული ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე;
- 8.2. ხელშეკრულებაში/კონკრეტულ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით და ისინი განიხილებიან, როგორც ხელშეკრულების/კონკრეტული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილები;
- 8.3. ხელშეკრულების/კონკრეტული ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებიც არ არის შევსებული ანუ მონაცემის მაგივრად მითითებულია ნიშანი “ტირე”, არ მოქმედებს მსესხებელთან მიმართებაში;
- 8.4. ხელშეკრულება/კონკრეტული ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;
- 8.5. „ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან, ამ ხელშეკრულების საფუძველზე დადებული კონკრეტული ხელშეკრულებებიდან და მათთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ (საიდენტიფიკაციო N205267389), რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას.
- მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპონდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპონდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).
- იპოთეკით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფაში არსებული ქონების აუქციონზე რეალიზაციის მიზნით, მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სპეციალისტად დაინიშნოს შპს “ემჯი ჰოლდინგი” (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204572284), რომლის მომსახურების ანაზღაურება განისაზღვრება მოთხოვნის 4%-ით. აღნიშნული ოდენობიდან, დაინტერესებული პირი სპეციალისტს წინასწარ უხდის აღსასრულებელი მოთხოვნის 1%-ს. დარჩენილი 3%-ის გადახდება ხდება აუქციონის დამთავრებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. სპეციალისტის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს აღსრულებული მოთხოვნის 4%-ს. აღნიშნული შეთანხმება არ ართმევს კრედიტორს უფლებას უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის მიზნით მიმართოს სააღსრულებო ბიუროს/კერძო აღმასრულებელს“.
- 8.6. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტების ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების/კონკრეტული ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას;
- 8.7. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მსესხებელს, ხოლო ერთი რჩება ბანკი.
- 8.8 ბანკს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს მსესხებელს ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი (კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით) წინამდებარე ხელშეკრულების მე-

9 მუხლში მითითებულ მისამართზე ან მსესხებლის იმ მისამართზე რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში/მითითებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მე-9 მუხლში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მსესხებლის იმ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება მსესხებლისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ბანკის სახელით ბანკის თანამშრომლის მიერ ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება მსესხებლისათვის შეტყობინების ჩაბარებად.

შეტყობინება მსესხებლის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:

- პირადად მიწოდების შემთხვევაში - შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის მსესხებლისათვის ჩაბარების დღეს.
- კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე-5 კალენდარულ დღეს, ან მსესხებლისათვის ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.
- ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - მსესხებლის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან (მისამართიდან) ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.

ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.

ბანკის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი მსესხებელზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე მსესხებლის ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან მსესხებელი უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან ბანკი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს მსესხებლის ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას.

თუ მოხდა მე-9 მუხლში მითითებული მსესხებლის რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება ბანკს, შეტყობინება/დოკუმენტი მსესხებლის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც.

#### მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები:

| <b>"მოგირავნე"</b>                  | <b>"დამგირავებელი"</b>         |
|-------------------------------------|--------------------------------|
| სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"            | სახელი, გვარი                  |
| ფილიალი                             | პ/ნ                            |
| მისამართი                           | გამც. მრგ.                     |
| ხელმომწერი პირი<br>(995 32) 2242424 | მისამართი:<br>ტელ.: ელ. ფოსტა: |